



შპს Georgian Air Link

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ზოგადი მომხილვა

საფირმო სახელწოდება: შპს ჯორჯიანაირლინკი Georgianairlink

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400081754

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 15/03/2013

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონში, თემქა, X კვ., კორ.

32, ბ. 57

დამფუძნებელი კარენ დარბინიანი, პირადი ნომერი 01019037319

დირექტორი - ანზორ დარბინიანი, 01022010243

დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: georgianairlink@yahoo.com

g.airlink@gmail.com

info@airlink.ge

ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) მიხედვით.

შპს Georgian Air Link

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს Georgian Air Link
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის , რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

31.12.2024 31.12.2023 31.12.2022

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	438,954	392,749	278,653
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,686,847	749,665	617,619
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	1,705,395	1,639,927	1,233,034
- შზა პროდუქცია	1,705,395	1,639,927	1,233,034
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	769,400	769,400	524,400
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	32,861	33,731	35,664
ძირითადი საშუალებები	3,203,814	3,233,238	3,164,563
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	89,328	31,468	-
სულ აქტივები	7,926,599	6,850,178	5,853,933
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
საგაჭრო ვალდებულებები	900,107	704,462	448,249
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	69,600	72,774	75,270
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	144,058
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	210,084	524,072
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	127,386	380,867	462,402
სულ ვალდებულებები	1,097,093	1,368,187	1,654,051
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	28,768	28,768	27,669
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6,800,738	5,453,223	4,172,213
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	6,829,506	5,481,991	4,199,882
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,926,599	6,850,178	5,853,933
სულ მოკლევადიანი აქტივები	7,926,599	6,850,178	5,853,933
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ _____

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს Georgian Air Link
მოგება -ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის , რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები 31.12.2024 31.12.2023

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	7,323,463	6,544,214
საქონლის გაყიდვიდან	958,830	699,647
მომსახურების გაწევიდან	6,364,633	5,844,567
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(958,830)	(699,647)
საერთო მოგება	6,364,633	5,844,567
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,614,784)	(1,429,491)
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	(863,704)	(711,019)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	(41,684)
იჯარის ხარჯი	(38,617)	(41,987)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,507,555)	(2,318,142)
სულ საოპერაციო ხარჯები	(5,024,660)	(4,542,323)
საოპერაციო მოგება	1,339,973	1,302,244
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	31,250	18,240
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,371,223	1,320,484
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1,371,223	1,320,484
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკვავეშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,371,223	1,320,484
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5,481,991	4,199,882
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(23,708)	(38,375)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,829,506	5,481,991

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ _____

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	392,479	278,653
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	438,954	392,749

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს GEORGIANAIRLINK წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100% წილის მფლობელია კარენ დარბინიანი პ/ნ 01019037319.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინტერნეტის მიწოდება (ინტერნეტ პროვაიდერი) საქართველოს ტერიტორიაზე როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის. ანგარიშგების მომზადების საფუძველია **მსს ფასს** (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის). კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და არ ევალება ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენა. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL) კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).

ფუნქციონირებადი საწარმო

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის შენეუქმენტი არ გეგმავს და არ მოეღოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. შესაბამისად აქტივის რეალიზაცია /გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების მიწოდებიდან და საქონლის გაყიდვიდან საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ამონაგები	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	958830	699647
მომსახურების გაწევიდან	6364633	5844567

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას პერიოდულად აქვს ფული სალაროში.

ფულადი სახსრები	2024	2023
	438954	392749

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება დებიტორებისაგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და მიაწოდა საქონელი და რომელთაგანაც მომსახურების და საქონლის ღირებულება ჯერ არ იყო ჩარიცხული ან წინასწარ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

	2024	2023
ძირითადი საშუალებები	3203814	3233238

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს რომლებიც წარმოიქმნება საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის პროცესში საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას.

შპს georgianairlink ის სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	900107	704462

ხელფასი და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ მრომის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა მიმართ, ასევე ღირექტორების და ხელმძღვანელების ხელფასს.

სესხები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი GEL . უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განისაზღვროს , ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და საჭიროების შემთხვევაში ფულს სალაროში
ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარებას კომპანია წყვეტს იმ შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის .

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, გასდის ვადა ან უქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს და ყველა სხვა დანახარჯს რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟის ღირებულებას. ძირითადი საშუალებების მიმართ კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. სასრგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დაბეგვრა

საქართველოს საგადახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები

დივიდენდის გადახდა

სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა

ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან

საქონლის უსასყიდლო მიწოდება

ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა.

წინასწარ გადახდილი გადასახადები , საიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც კაპიტალის შემცირება

ამონაგები

კომპანია ამონაგებს აღიარებს როდესაც შესრულებულია შემდეგი პირობები

ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ

მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

იჯარა

კომპანია ქირაობს ფართს ეკონომიკური საქმიანობისთვის და აკლასიფიცირებს როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით დარიცხვის მეთოდით.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულების ზრდასთან, და შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია რომელთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ _____